


572 /
1968

1968 թվականի N 10

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐԹՅՈՒՆՈՒԹՅԱՆ
ՍՏՄԱՐԿԵՐԱԿ

ՀՅՄԵ





ოქტომბრელებო! დღეს მკერდზე ოქტომბრელთა წითელი ვარსკვლავი გიბნევიათ. მალე პიონერები გახდებით და აღისფერ უელსახვევს გაიკეთებთ. გავა წლები და კომკავშირელთა რიგებში შეხვალთ. კომკავშირელი—პატიოსანი, ბეჯითი და თავისი ქვეყნის ერთგულია.

ჩვენი სახელოვანი კომკავშირი ახლა 50 წლიანია.

პირველი ქართველი კომკავშირელი ბორის ძენლაძე იყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა ათასგვარ შინაურსა და გარეულ მტერს ებრძოდა.

ბორის ძენლაძემ კომკავშირში გააერთიანა ქართველი ახალგაზრდობა და ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავად დარაზმა. კომკავშირელები უფროსებს მხარში ამოუდგნენ; აშენებდნენ ელექტროსადგურებს, რკინიგზებს, ფაბრიკა-ქარხნებს, სკოლებს, მუშაობდნენ შახტებში, ამზადებდნენ ხე-ტყეს.

პირველმა კომკავშირელებმა—ბორის ძენლაძემ და მისმა თანამებრძოლებმა—ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.



ბორის ძნელაძე



ბიოგრაფიული ნახატი რეპორაჟი

ბორის ძნელაძეს თვითგვარდიელები დასაქვრად დასდევდნენ: იცოდნენ, რომ ქალაქებსა და სოფლებში დადიოდა და ახალგაზრდობას საბჭოთა ქვეყნის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ მისი დაქვრა არც ისე იოლი გახლდათ: ბორის ბევრი მეგობარი ჰყავდა. ისინი წინდაწინვე ატუობინებდნენ საფრთხის მოახლოებას და თვითონაც გამბედავი და მოხერხებული იყო.

ერთხელ ახალგაზრდა კომკავშირელებს სოფელში საიღუმლო შეკრება ჰქონდათ. იმსჯელებს, ილაპარაკებს, შეადგინეს მომავალი ბრძოლის გეგმა და შინ წასვლა დააპირეს. უცებ გუშავი მოიჭრა და აცნობა— გვარდიელებმა ალყა შემოგვარტყეს და საცაა, სახლშიც შემოიჭრებიანო.

ყველა აჩოქქოლდა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — წამოიძახა ბორისმა, — თქვენ წადით, მე აქ დავერჩები.

— რას ამბობ, ბორის? ომ მოგისწროს ხომ დაგიჭერენ!

— ვერ დამიჭერენ! აბა, ლაპარაკის დრო არ არის, ახლავე წადით!



689.01



კომკავშირელები მიხედნენ, რომ ბორისმა რაღაც მოიფიქრა და საჩქაროდ გავიდნენ.

ბორისი მარტო დარჩა. გამოსწია უჯრა, გადაარჩია ქაღალდები, ნაწილი უბეში ჩაიტენა, ნაწილი ხელში დაიჭირა. მერე მოიხსნა სათვალე, ჯიბეში ჩაიღო, რვეოლვერი მოიმარჯვა და ისეთი განრისხებული სახე მიიღო, თითქოს ეს-ეს არის ოთახში შემოვიდა და ვიღაცას ეძებსო.

იმავე წუთს გაიღო კარი და ოთახში გვარდიელები შემოიჭრნენ.

— სადა ხართ აქამდე! — უყვირა ოფიცერს ბორისმა, — თქვენს მოსვლამდე საბუთების გადამალვა და გაპარვა მოუსწრიათ. აი, ესა

დარჩენიათ მხოლოდ... — და ხელში ჩაბლუჯული ქაღალდები აჩვენა.

ოფიცერი დაიბნა.
— ოფიცერი ვინ ბრძანდებით?

— მე? მე თბილისიდან გამომგზავნეს საგანგებოდ. პირდაპირ სადგურიდან მოვედი. თქვენი იმედი როგორ გვეკონდეს? გაჩხრიკეთ აქაურობა! ამ ქაღალდებს კი მე წავიღებ და უფროსთან დაგიხვდებით.

ბორისი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. გვარდიელებმა გაჩხრიკეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. უფროსთან რომ მივიდნენ და „თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული კაცი“ ვერ ნახეს, მაშინ კი მიხვდნენ, თუ როგორ ვააცურა ისინი ბორის ძნელაძემ.





რთვლობა

მიჩი ძვალაძე

რთვლობაა და ჟრიაშული
 მოსდებია მთელ სოფელს;
 მხიარულად გადასძახის
 მეზობელი მეზობელს...

ივსებიან მანქანები,
 იცლებიან ურმები...
 ვერ ძლებიან ყურძნის ჭამით
 ქალაქელი სტუმრები.

ნახატი ზურაბ მამაკრიავნილისა



ორმოცი კომკავშირელი



(სამოქალაქო ომის ეპიზოდი)

კომკავშირელები უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ, ვაზნები რომ გამოეღიათ, სიშტებით შეუტრეს მტერს, ბრძოლაში გამაოცდენი იყვნენ და ბევრი დაიღუპა. ვინც გადაჩა, — უკან დაიხია. უკან დასახევი გზა ტბაზე გადიოდა. გადარჩენილმა ორმოცმა კომკავშირელმა ტბას მიაშურა, მაგრამ ნაპირზე გასვლა შეუძლებელი გახდა. — თუთრებს აღუა შემოერთყათ ტბისათვის. კომკავშირელები ტბაში მოუმწყდნენ. ბრძოლა გათავებულაც იყო და წაგებულაც, ამიტომ შაშხანები წყალში ჩაჰყარეს, — თუთრებს არ ჩაუვარდეს ხელში.

თუთრების პოლკოვნიკი ნაპირს მიადგა, ტბაში ჩასულეებს დააკვირდა: სულ პირიტრევა ბიჭუნები და ნაწნაებიათი გოგონები იყვნენ. ტბა ღრმა არ იყო: ზოგს წელამდე სწევებოდა წყალი, ზოგს — მკერდამდე.

ჰმ! ტუჩებზე ჯერ რძე არ შემრობიათ და ჩვენ კი გვებრძვიან, — გაიფიქრა პოლკოვნიკმა:

მელმარებამ მოიცვა მიდამო. სიჩუმე ისევ პოლკოვნიკმა დაარღვია:

— ამოდით! — დაირიდა მან, — დაიჩოქეთ პოლკის წინ, მონინაიეთ დანაშაული და სუყველას შინ გაგიშვებთ.

— არ გვინდა თქვენი ნაჩუქარი სიცოცხლე! — ერთხმად უბასუსხეს კომკავშირელებმა.

ერთს ან ორს რომ მიეცა ასეთი პასუხი, შეიძლება, არ გაბრაზებულყო პოლკოვნიკი, მაგრამ ერთსულოვანმა პასუხმა, და ისიც შიზლითა და გესლით საესემ, პოლკოვნიკი გააბოროტა.

— არ გინდათ? ნუ გინდათ! — შეჰყვირა გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა და ცივი ხმით განკარგულემა გასცა:

— მოიტანეთ ტყვიამფრქვევი!

ჯარისკაცებმა ტყვიამფრქვევი მოაგ ორეს.

— ყველას ჩაგზოცათ მაგ ტბაში! გესმით, თქვე საღაზანებო!

— თქვენგან მეთს არც მოველით! — უბასუხეს პოლკოვნიკს სასიკვდილოდ განწირულებმა, — თქვენ ხომ ჯაღათები ხართ? ანდა, რა დანაშაულებზე გველაპარაკებით? დანაშაული თქვენ მიგიძღვით ჩვენი ქვეყნის წინაშე, უცხოელი ინტერვენტები დაგვასიეთ და გვართმევთ ყველაფერს, რაც რევოლუციამ მოგვრიტანა, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა!..

— აგიტაცია! — იღრიალა პოლკოვნიკმა, — კმარა! მე თქვენ გიჩვენებთ რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას!

— პირდაპირ ტბისაკენ! — უბრძანა პოლკოვნიკმა მეტყვიამფრქვევებს.

კომკავშირელებმა ერთმანეთს გადააქრეს ხელები და ამავად შემოსძახეს:

აღსდქ, კრულვითა დაღღასმულა ქვეყანაგ მშიერ მონების!..

— ცეცხლი! — დასუყვიდა პოლკოვნიკმა.

აკაკანდა ტყვიამფრქვევი, მოიცილა პირველი რიგი. ტბაზე სისხლის წითელი ხალები ყაყარობივით გაიშადა.

— ანდაც არ ამოხვადთ? — გასძახა პოლკოვნიკმა.

პასუხად გუგუნებდა „ინტერნაციონალი“, და შორს სწვებოდა განწირულთა სიმღერის ხმა.

— ცეცხლი! — ისევ დაიღრიალა პოლკოვნიკმა. ტბაზე ყაყაროთა რიცხვმა იმატა. ისევ ისე ებრძოდნენ ერთმანეთს ტყვია და სიმღერა:

„...ეს არის ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა...“

ისევ გაისმა პოლკოვნიკის განკარგულება. ისევ აკაკანდა ტყვიამფრქვევი.

ასე დაილუბა ორმოცი კომკავშირედი.



კომკავშირ- ბული

მირის უფსხვიანი

კომკავშირლები მღერიან
კომკავშირული გუნდით,
კომკავშირელთა მხარდამხარ
კომკავშირულად ვდგებით.

უნდა ვაშენოთ ბაღები,
სასახლეები, ზეგრები;
უნდა გავაბოთ მთები და
უნდა გავშალოთ ფრთები.

ისე ვიწრომით, შრომაში
ავეყოლოთ სხეულები,—
კომკავშირული ერთობით,
კომკავშირული გუნდით.

ქოჩოკა

მირიანი პაპიაშვილი ნახტი მალხაზ ქახაშვილისა

ვახტანგი დილით აღრიანად დგებოდა. სა-
ნამ ბებია ბელდიდან ქათმებისათვის საცენკს
გამოიტანდა, იგი უკვე საქათმესთან იყო.
გამოაღებდა საქათმის კარს და ატყდებოდა
ერთი კრახი და კაკანი, თვალის დახამამე-
ბაში ეზო ქათმებით გაივსებოდა.

— ძიბი, ძიბი, ძიბი,— გაბამდა ბებია, ამო-
კლთავებულ წინსაფრიდან მუჭით ამოიღებ-
და საცენკს და ქათმებს დაუსყრიდა.

ერთი ქოჩოკა ვარია ვახტანგს ისე შეეჩ-
ვია, რომ ბიჭუნა ხელისგულზე დაიყრიდა
ხოლმე პურის ან სიმინდის მარცვალს, ის კი
მიადგებოდა და კენკავდა. ამოივსებდა ჩი-
ჩახეს და ჭაიდა!—მეორე დილა მდე კაცი არ
იყო მისი მნახველი.

ერთ დილით ქოჩოკა აღარ გამოჩენილა.
რამდენი ეძება ვახტანგმა, მაგრამ ვერა და
ვერ იპოვა. დანადვლიანდა ბიჭი.

— გენაცვალოს ბებია, აღბათ ძვრამ მოი-
ტაცა... შენი ქირიცი წაუღია: მაგის კვერცხი
მე არ მინახავს, ჭამაში კი იცოცხლე, მარჯვე
იყო. ავერ ქათმები! რომელიც გინდა, ამოი-
რჩიე და შენი იყო.

— მე სხვა ქათამი არ მინდა,—ცრემლი მო-
აღდა ვახტანგს.

ერთხელ ბავშვები დამალობანას თამაშობ-
დნენ. ვახტანგი დასამალად საბძლის სხენში
ავიდა. ის იყო თივაში უნდა მიმალულიყო,
რომ... ქათამი აკრაიხნდა და წვივზე მწარედ
ჩაუნისკარტა.

— ვაიმე, მიშველეთ!—წამოძახა ვახტანგმა,
მაგრამ უმაღლვე დამშვიდდა: სხენის კუთხეში
მიყრილ თივასთან ქოჩოკა წიწილებს გადა-
ფაფროდა და ქოთქოთებდა.

— ბები, ბები! მოდი, მოდი! ქოჩოკა ვი-
პოვე, წიწილები გამოუჩეკია.

ბებია სხენში ავიდა, ქოჩოკა რომ დაინ-
ხა, ვახტანგს ხელი გადაუსვა თავზე და
უთხრა:

— ხელავ, შეილო? ასე იცის ზოგიერთმა
ქათამმა. ქოჩოკას უჩუმრად შეუგროვებია
კვერცხები, დაკრუხებულა და წიწილებიც
გამოუჩეკია.

— ბები, აკი ქოჩოკა კვერცხს არ სდებსო?!

— შევცდი, შეილო, შევცდი. მე ვგვრ მე-
გონა.



ლეკვი

გიორგი კაჭანიძე

— რა მოხდა, როდის დგებოდა
გურამი ადრე დიდი?
— საქმე გაუჩნდა ბიჭუნას,
იმან დაუფრთხო ძიდი.

ვანო ბიძიამ აჩუქა
ლეკვი პატარა, ჰრედი...
ჰოდა, ხომ უნდა მას მოვლა,
დროზე მზრუნველი ხედი!

თორემ თუ ზრუნვა დააკლო,
თამაშს დასჯერდა მარტო,—
ნაწყენი ვანო ბიძა
დევს მოუხანახვს პატრონს.



ჭიანჭველა

მინი

ალექსანდრა დილბაგუმილი
მიღის ტყეში ნელო
ჭიჭი-ჭიანჭველა:

— ნეტავ სადმე ახლოს
სასუნნავი ვნახო!

ხედავს: თხილისხელა
გზაზე რაღაც ელაგს...
სინჯავს, ირგვლივ ურბენს,
შაქარია თურმე.

ზურგზე მოიკიდა
გამოვიდა ტყიდან.

ჭიჭი-ჭიანჭველას
წინ შემოხვდა ქელა:

— გატყობ, ჩემო ჭიჭი,
შაქარის ზოდო გჭირს!

— გააჩერე ენა,
შე, მსუნაგო, შენა!
სულ ტყუილად ელო
ჭიიტბილო ქელი.

მომეტალე გვიდან,
უშენოდაც გჭიდავ!

წაბა-წყუპით, წვრილოდ
წამოვიდა წვიმა,
შაქარს მოხვდა ერთი
წვიმის დიდი წვეთი...
ქუჩის ტვინით უცებ
ჩამოაღნა ზურგზე.

ქელა კვდება ხარხარით:
— ფაფუ, შენი შაქარი!



მაიუნმა დაქრა დოღს,
თან დაამბუნა მღერის:—დოი!

მჭერი უზის დაამბუნა
და ღულუქით ახეა:—რე!



მამა პირიქაძე

მხიარულო კონსერტი

ფისუნია ფისუნა
თავს მალა სწევს სიამით,
ნაზად კნავის:—მაუე, მიი!

ვარხვი მოპყვა ფარს,
ფრთა გაშალა სწრაფად,
დაიძახა:—ფა! ფა!



გაცას და ღბოის ფურკამენს ჰატარა ზაქი ჰუჯდა. ირუძოეთ დიდი, მუვი თელალები ჰქონდა და სანეღლადც ირუმას ემხსენდა.

კონსერტი

ირუმას ღედა ღილით მინდორში მიჰუჯდათ საბაღასოდე, ირუმას კი გია და ღბოთ უსოში უსიღედენე სოღმე ბღაღსს. ირუმას ღედას წეუღებდა ჰქონდა, მინდურიდან რომ მოვიდოდა, ხანდა მვიღს არ მოაწოვებდა, ჰატაროს რუმს არ გამოუჩენდა. ერთ საღამოს მოვიდა ირუმას ღედა კა-

ი. რ. ე. მ. ა.



ნახატბი ზაკას ჟამბაძემ

უფატს, გული გრძობით აივისო, აუფად, ჩემი როგიც არიოსო, დაამღერა ტემილად:—სოოო!

„ოღასო! წარმოთქმა ყენასალამ
ალარავის აცლა,
— აუაო!—დათურანტლა
და კონსერტიც ჩაშალა,

თური ბჭი იფინის:
— სო... სო... სო... სო... სო...



ტენილი უიქით, ბფერი იმჰუჯდა, მკერამ ირუმას არსად ჩანდა, —ღბოთსა და გიას მღიანრუმე წაუჯდათ. ბინდგობდა. ბიჭები კი არ ჩანდნენ. ღედა მოსაწულად მოემწიდა, შეუდგა ტკეჯანი, წამოუსუჯა უიქინსე ხელი, მკერამ ფურკამენსა ერთი წყუთი რუმეც არ მისცდა, —მვიღს

შეუნას. მუჭით იმ საღამოს უიჭივად დღოქითა-დუნე, ირუმას რომ დროსე არ მოუღენათ.



ჩახობ ჩაღის მზე

ამაჟი პასაჟი

ერთ საღამოს მაკა ამხანაგებთან ერთად ეზოში თამაშობდა. უცებ მისმა მეზობელმა, ბუთბუზა ზურგიკომ წამოიყვია:

- ნახეთ, ნახეთ, მზე როგორ ჩაღის!
- როგორი წითელია!
- როგორი ღიაია!
- როგორ ბრწყინავს!—ერთხმად აქყენენ ბავშვები და თვალღებდაჭყეტოლები მიაჩერდნენ ჩამავალ მზეს.
- ზურგიკომ ამაყად მიმოიხედა და იკითხა:
 - აბა, თუ იცი, მზე რატომ ჩაღის?
 - ეველა გაისუნსა.
 - ევეჰ, არაფერი არ იცი, —თავმოშწონედ

თქვა ზურგიკომ.—მზე იმიტომ ჩაღის, რომ შინ ბრუნდება. მთელი დღე რომ ანათებდა, დამაღლა და უნდა დაისვენოს.

- ვინ გითხრა?
- საიდან იცი?
- სადა აქვს სახლი?—სხაპასხუბით მიაყარეს კითხვები თამუნამ და თინიკომ.

— საიდან ვიცი და მამამ მითხრა. სახლი კი აი, იმ მთებს იქით უდგას... ისეთი ღამაზი და ღიდი სახლი უდგას, რომ...
მაკა ჯერ არაფერს ამბობდა. მერე ხელი მოკიდა თამუნას, განზე გაიყვანა, ღიდრონი შავი



ეშია და პაჩიკა

ლაილა პარაჟი

ესარება სოფელს კულბამურა მელა, შობაიჯებს ფრიხლად, ნელა, ნელა, ნელა.

უცებ კულბამურას გადმოუტყა მერა: — ვერ წამახვალ, ვერაო, ქურღბაცა მელაო!

ტანზე შემოახია ის ხატულა ქერქი, ღაკენილი, წაბევი, წაბარხადეა ქურღი...

საქიმშეს კი რიჩიავი ეპარება ნელა. ჭრელ ვაჩიკებს სოზმრადეა არ უნახეთ მელა.



ნახატი თინიკაზ ჩინინაშვილისა

თვალები დააფხულა და ყურში ჩასწურულა:

- ზურგიკომ არაფერი არ იცი.
- შენ ვითომ იცი?
- ვიცი.
- აბა, მითხარი, თუ იცი?
- გეტყვი, მაგრამ არავის უთხრა.
- არ ვეტყვი.
- მაკამ მიმოიხედა, ხომ არაეინ ვეისმენსო:
 - მზე იმიტომ ჩაღის, რომ ღამისა ეშინია.
 - ვინ გითხრა?—ეშმაკურად ჩაიციან თამუნამ.
 - მე თვითონ მივხვდი.



სეზონი

ნახატები ჯემალ ლოლასი




— შეილო, რატომ გაქვს კუჭყიანი ხელები?
— იმიტომ, დედა, რომ ამ ხელებით ახლახან პირი დავიბანე.

დედას შვილი სტუმრად მიჰყავდა. პირი უკვე დაბანა, ხელებილა უნდა დაებანა რომ...
— დედა, ხელებს ნუ დამბან, ჯიბეებში ჩავიწყობ,—უთხრა შვილმა.

თამარ ჩხაიძე
— ბებიკო, ბებიკო, მომიყევი რამე!—სთხოვა ბებოს პატარა ანიმ.
— როცა პატარა ვიყავი...—დაიწყო ბებოიამ.
— ბებიკო, ბებიკო,—შეაწყვეტინა ანიმ,—როცა პატარა იყავი, პატარა ბებიკო იყავი?





— სადა ხარ, ნიკო?
— აგერ, სიკოსთან.
— მანდ რას აკეთებ?
— სიკოს ვეხმარები.
— სიკო რაღას აკეთებს?
— ისვენებს.



მამარ ჩხაიძე
— ცისო, ცისო, შეზე ფისო პირს იბანს, შენ კი არა გვავს! —უთხრა, დედამ ცისოს.
— კი, მარა, ფხზო რომ ფეხშიშველა დადის?!

ლატვიური სხარტულა

'ერთმა ბატონმა მხატვარი დაიბარა და უბრძანა, ოთახის კედლებზე დათვები დამოსატეო.

— ჯაჰვებით დავხატო დათვები, თუ უჯაჰვეოდო?—იკითხა მხატვარმა.

ბატონმა იფიქრა, ჯაჰვებიანი დათვების დახატვა უფრო ძვირი ეღირებოდა და უჯაჰვეოდო,—უბრძანა.

მხატვარმა შეასრულა ბატონის ბრძანება და წაივდა.

გავიდა ცოტა ხანი და დათვები კედლებიდან გაჰქრნენ: მხატვარს ისინი უსერიო საღებავით დაეხატა და მალე გამოხუნდა.

ბატონი განრისხდა, მხატვარი დაიბარა და მასუბი მოსთხოვა:


— რად მირისხდებით, ბატონო! თქვენ უჯაჰვეო დათვების დახატვა მიბ.



რძანეთ. ჰოდა, რახან დათვები დაბმულნი არ იყვნენ, ადგნენ და, ტუისაკენ მოუხვესო.

ამ ხუმრობაზე ბატონმა ბევრი იცინა და მხატვარს ჯაჰვებიანი დათვების დახატვა უბრძანა.

რომელი და რომელი ბაჭის ანაქსზა ნამოგაზუდი-თაჰზი?



აბა, გაპოიხანი!

რგუზ და თამარკომ ფუნაგები მომარაგებს და ზატებს შუფაქენ. რე ზომ ირი ზავში დახატა, ერთი დარში, მეორე—აღდარში. თამარკოსკ დახატა ირი ზავში, ზუტად იხე, როლორე რგუზ, თლონდ რგუზიკ და თამარკომიკ ზატეხას ირ-ირი შექდომო დაუშეხა.
 ამ იარ ზურათს შირის კიდე არის ცხრა განმახხედეხელა ნიშანი. რე მელიკ შენ თვითონ უნდ დაშობახინო.



გინდა, ლეკვი დახატო? დააკვირდი ნახატს და ასეთი თანმიმდევრობით დახატე.

სამუშაო თიკანი

სამუშაო მიზანობა ნახატები პ. აბოშაძისა

იქა ერთი, თავგასული თიკანი. ციცქნა რქები ჰქონდა, მაგრამ ვეჟლას თავი მოაბეზრა—გინდათ თუ არა, რწოლაში შექეჯიბრეთ.

— თავი დამსებე!—უთხრა ინდაურმა, გაიფხორა და ესოში გიანრ-გამოიარა.

ინდაური რომ ვერ აიყოლია, ასლა გოჭს გადაეკიდა—გამოდი, ვიბუცაოთო.

— თავი დამსებე!—დაჩევიტიან გოჭმა და მიწას დაუწეა ხიჩენა.

ასლა ცსვარს მივარდა—რწოლაში შექეჯიბრე, აბა, მე და აბა, შენო.




— თავი დამსებე!—მშეიდად უთხრა ბებერმა ცსვარმა და ბელასს დაუწეა მოჯა.

თიკანმა ასლა ლეკვს მოჯვრა თვლი და გაეხარდა—ამას მინც გაგებრიეუბო, მიადგა და—მოდი, რწოლაში შექეჯიბრათო.

— დიდი სიამოვნებით, —უთხრა ლეკვმა, შეუეევა და ფესზე უბინა.

— მოიცა, მოიცა, —აკიანდა თიკანი, — მე გითხარი, რწოლაში შექეჯიბრათო—მეთქი.

— მე მინდა, კებნაში შექეჯიბრო, — უბასუნა ლეკვმა და მორე ფესზეც უბინა.



თარგმანი სოსო ლოლაბერიძისა

ხუჩინი



ფაქლი

კეთილან ხიჩაძე

ზოგ-ზოგს ქურჭი გაუხსნია, —
იჭყიტება ფარულად...
ზოგსაც ბუდე დაუთმია
და ძირს ჩამოპარულა,
გაკროლილებს თავდაღმართზე
გაუმართავთ მარულა.



ფისუნია და მურიკელა

მირონ სარგულაძე

შენეთ, შენეთ მურიკელას,
ფისუნიას როგორ უტევს,
დასაჭერად გამოუდგა,
გულში ცული ზრახვა უდევს...
ფისუნია ხებზე შეხტა,
გადმოსძახა: „გაგებუტე!“



ქანქარა



კეჰვანი

წთარ კეჰვანი

შეძობსმ კლარუნცი,
მტერის ბიჭი ბეჰანი,
თუნდე ჯანის ცხენისთვის
კამოებამს კეჰვანი.



მელიკოს ბარათი

ა. გომიზუვილი

პატარა მელაკუდამ ბებიას ბარათი გაუფ-
ზავნა.

ბები მელიამ ბევრი იკითხა, მაგრამ ვერაფე-

რი ვაიგო.

რომელი ასობების წერა არ იცოდა მელიკომ?
დაეხმარეთ ბებია მელიას ბარათის წაკითხვაში!

• ედ ზებიჯა, ხეღხ • წი • ლეი პენატეჰა •

• იტი • ჯი ვეხ დავი იხე • ლოფი ვეხსეო

ჰნა • ე დეიჯემ თქვა: • ი ილოა გემიელოია •

თუ მე • სვება, ეხ ი-ღი გამდმიე ავნე •

• ენი მელიჯა



შთავარი რედაქტორი მუხრან მამუკაძე

სარედაქციო კოლეგია: კეჰვანი გომიზუვილი, ლეილა მარამ, ჯემალ ლოლუა, მავალა მავლივილი.

ჯემალ ნინუა, იორამ ქემირტილი (პ/მ, მდიანი), შალვა ცხაღამე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძინღამე.

საქართველოს ალტ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პოინერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი

ყდაზე ნახატი **ჯემალ ლოლუასი**

ტექნედაქტორი მ. გომიზუვილი

გამოცემბი: 41-ე წელი.

რედაქციაში შემოსული მასლები აეტორებს არ აღებრუნდებია.

საქ. კ. ცის გამოცემლობა. შავი № 2508. ანაწილის ზომა 91/2 X ს.ტრადი 105.800. ჭალ ზომა 60 X 90/4. ხელმოწერილია დასაბუღალი 12 VIII 68 წ. ცნობილ დაბეჭდილი საქ. კ. ცის გამოცემლობის პოლიგრაფიკომბინატო ლენინის ქ. № 14 „ლილა“ № 9. ან გრუნიკის აზნა. თბილისი, პროს. ჩაგვაძისა № 91 რედაქციის მისამართი: თბილისი, კლუბნების პარკი, № 91. ტელ. 05-37-68, 05-18-08



ქალი—ნახტი ოამრიკო ნერგაძისა, 7 წ
 თბილისი.
 ჩვენი ეზო—ნახტი ალექო კიკნაძისა.
 9 წ ზეტაფონი.
 ნატურმოტიკი—ნახტი ქეთევან შვალა-
 ბლიშვილისა, 10 წ. ზუგდიდის რაიონი, სოფელი
 კაჭენჯი.
 ქალაქი—ნახტი ნინო უჩიაშვილისა,
 9 წ. წითელიწყარო.
 გაცილება—ნახტი ნატო ხედიშვილისა,
 7 წ. ბათუმი.
 გოგონები—ნახტი მანანა მუხიგულისა,
 5 წ. მოსკოვი.
 მესამე ხე ქარმა წააქცია—ნახტი
 ნინო ხვანაძისა, 5 წ. თბილისი.
 ქართველის დედა—ნაძერწი მერაბ ჯა-
 ნელიძისა, 8 წ. თბილისი.

